ფინანსური ვალდებულების ( ან ფინანსური ვალდებულების ნაწილის) აღიარება მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა შეწყდეს, როდესაც ის შესრულებდა, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

#### • ანარიცხები და პირობით ვალდებულებები

ანარიცხი აღიარდება იმ შემთხვევაში:

ა) როდესაც საწარმოს საანგარიშგებო თარიღისთვის აქვს ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენის შედეგად;

ბ) მოსალოდნელია (უფრო შესაძლებელია მისი მოხდენა ვიდრე არ მოხდება), რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გასვლა საწარმოდან; და

გ) შესაძლებელია ვალდებულების სიდიდის საიმედოდ შეფასება.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ანარიცხი აღიარდება ვალდებულებად და ანარიცხის ტოლი თანხა აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯად.

#### თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თანხა, რომლითაც ანარიცხი აღიარდება, არის იმ თანხის საუკეთესო შეფასება, რომელიც აუცილებელი იქნება ამ ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო თარიღისთვის. როდესაც ანარიცხი მოიცავს მრავალრიცხოვან ელემენტებს, ანარიცხის შეფასებული თანხა ასახავს ყველა შესაძლო შედეგის საშუალო შეწონილ სიდიდეს, რომელიც შეწონილია მათი გასვლის ალბათობებით. თუ ანარიცხი წარმოიშობა ერთი ვალდებულებიდან, კონკრეტული ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხის საუკეთესო შეფასება არის ყველაზე მეტად მოსალოდნელი ინდივიდუალური შედეგი.

თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა არსებითია, ანარიცხის ოდენობა იქნება იმ თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც მოსალოდნელია, რომ საჭირო იქნება ვალდებულების დასაფარად.

#### შემდგომი შეფასება

საწარმო ანარიცხის საპირისპიროდ ასახავს მხოლოდ იმ ხარჯებს, რისთვისაც თავდაპირველად აღიარდა ანარიცხი.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის გადაიხედება ანარიცხები და კორექტირდება ისინი რათა მასში ასახული იყოს იმ თანხის ოდენობის საუკეთესო შეფასება, რომელიც საჭირო იქნება ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო პერიოდის მიხედვით. წარსულში აღიარებული ანარიცხების კორექტირების თანხა აღიარდება მოგება/ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ანარიცხი თავდაპირველად აღიარებული იყო სხვა აქტივის თვითღირებულებაში.

5-24 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

კომპანიის დირექტორი

კომპანიის მთავარი ბუღალტერი

### პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულება არის შესაძლო, მაგრამ გაურკვეველი ვალდებულება, ან მიმდინარე ვალდებულება, რომელიც არ აკმაყოფილებს ანარიცხის აღიარების კრიტერიუმებს.

არსებობს პირობითი ვალდებულების ორი ტიპი:

ა) სავარაუდო ვალდებულება - რომელიც წარმოიქმნება წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და მისი არსებობა დადასტურდება მხოლოდ ერთი ან მეტი ისეთი განუსაზღვრელი მოვლენის მომავალში მოხდენით ან არმოხდენით, რომელიც მთლიანად არ ექვემდებარება საწარმოს კონტროლს

ბ) მიმდინარე ვალდებულება - რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად, მაგრამ აღიარებული არ არის, რადგან მოსალოდნელი არ არის, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება საწარმოს რესურსების გასვლა, რომელშიც განივთებულია ეკონომიკური სარგებელი ან ვალდებულების სიდიდის საკმარისად საიმედოდ შეფასება შეუძლებელია.

### • იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

იჯარა ფინანსურია თუ ჩვეულებრივი, დამოკიდებულია გარიგების შინაარსზე და არა ხელშეკრულების იურიდიულ ფორმაზე. შემთხვევები, რომლებიც ცალ-ცალკე ან ერთობლივად განაპირობებენ იჯარის კლასიფიცირებას ფინანსურ იჯარად მოიცავს:

ა) იჯარის ხელშეკრულების თანახმად, მოიჯარეს გადაეცემა აქტივის საკუთრების უფლება იჯარის ვადის დამთავრების შემდეგ;

ბ) მოიჯარეს უფლება აქვს, აქტივი შეიძინოს ისეთი ფასით, რომელიც მოსალოდნელია, რომ მნიშვნელოვნად დაბალი იქნება აქტივის რეალურ ღირებულებაზე, რომელიც მას ექნება უფლების გამოყენების მომენტში, ხოლო იჯარის დასაწყისისათვის არსებობს გონივრული რწმენა იმისა, რომ ეს უფლება გამოყენებული იქნება;

გ) იჯარის ვადა მოიცავს აქტივის ეკონომიკური მომსახურების ვადის ძირითად ნაწილს, მაშინაც კი, როდესაც საკუთრების უფლების გადაცემა არ ხდება;

დ) იჯარის დასაწყისისათვის მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულება შეადგენს სულ მცირე საიჯარო აქტივის პრაქტიკულად მთლიან რეალურ ღირებულებას; და

ე) იჯარით გაცემული აქტივები იმდენად სპეციფიკურია, რომ მხოლოდ ამ მოიჯარეს შეუძლია მათი გამოყენება, არსებითი მოდიფიკაციის გარეშე.

არსებობს დამატებითი კრიტერიუმები, რომელთა არსებობა დამოუკიდებლად ან სხვა გარემოებებთან ერთად, ასევე შეიძლება განაპირობებდეს იჯარის კლასიფიცირებას ფინანსურ იჯარად:

5-24 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

კომპანიის დირექტორი

კომპანიის მფლობელი ბუღალტერი

ა) თუ მოიჯარეს შეუძლია იჯარის შეწყვეტა, მაგრამ მას დაეკისრება ზარალის ანაზღაურება, რომელსაც მეიჯარე მიიღებს იჯარის გაუქმების შედეგად;

ბ) საიჯარო აქტივის ნარჩენი ღირებულების ცვალებადობის შედეგად მიღებულ შემოსულობას ან ზარალს იჯარის ვადის ბოლოს მიიღებს მოიჯარე (მაგალითად, საიჯარო გადასახდელის ფასდაკლების სახით, რომელიც იჯარის ვადის ბოლოს აქტივის გაყიდვიდან მიღებული ამონაგების დიდი ნაწილის ტოლია); და

გ) მოიჯარეს შეუძლია იჯარის გაგრძელება მეორადი (განახლებული) პერიოდით, საბაზრო საიჯარო ქირაზე მნიშვნელოვნად ნაკლები საიჯარო გადასახდელით

ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმები ყოველთვის არ არის გადამწყვეტი. თუ სხვა ნიშნები აშკარად მიუთითებს, რომ საიჯარო ხელშეკრულების მიხედვით არ ხდება საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემა, მაშინ ასეთი იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ჩვეულებრივი.

იჯარის კლასიფიკაცია ხდება იჯარის დასაწყისში და არ იცვლება მისი ვადის განმავლობაში. თუ შემდეგ მოიჯარე და მეიჯარე გადაწყვიტენ საიჯარო პირობების შეცვლას (იმ შემთხვევის გარდა, როდესაც უზრალოდ იჯარა განახლება), აუცილებელია იჯარის კლასიფიკაციის გადახედვა.

#### მოიჯარე

#### ფინანსური იჯარის თავდაპირველი აღიარება

იჯარის ვადის დასაწყისისათვის მოიჯარემ მისი უფლებები აქტივის გამოყენებაზე და ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივები და ვალდებულებები საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მოიჯარის ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯი (დამატებითი დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული საიჯარო გარიგების მოლაპარაკებასა და გაფორმებასთან) დაემატება აქტივის სახით აღიარებულ თანხას.

მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულების გასაანგარიშებელი დისკონტირების განაკვეთი არის საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი, თუ მისი დადგენა შესაძლებელია; თუ არა, გამოყენებულია მოიჯარის ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი.

#### ფინანსური იჯარის შემდგომი შეფასება

მოიჯარე მინიმალურ საიჯარო გადასახდელებს ანაწილებს დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და დაუფარავი ვალდებულების შემცირებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეოთხდით. მოიჯარე იჯარის მთლიანი ვადის განმავლობაში ფინანსური ხარჯები თითოეულ საანგარიშგებო პერიოდზე ანაწილებს იმგვარად, რომ წარმოიქმნას მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ვალდებულების ნაშთის მიმართ. პირობითი საიჯარო გადასახდელები ხარჯად აისახება იმ პერიოდში, როდესაც გაწეული იყო.

#### ფინანსური იჯარის ცვეთის დარიცხვა

5-24 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია  
კომპანიის დირექტორი კომპანიის მთავარი ბუღალტერი

ფინანსური იჯარით აღებულ აქტივს მოიჯარე ცვეთას არიცხვას ძირითადი საშუალების/არამატერიალური აქტივის მოთხოვნების შესაბამისად, იმისდა მიხედვით ფინანსური იჯარა რა ტიპის აქტივს წარმოადგენს.

თუ არ არსებობს იმის გონივრული რწმენა, რომ იჯარის ვადის გასვლის შემდეგ მოიჯარე მიიღებს საკუთრების უფლებას, აქტივი მთლიანად ჩამოიწერება იჯარის ვადასა და მის სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმცირესი პერიოდის განმავლობაში. ასევე, მოიჯარე ყოველ საანგარიშგებო თარიღისათვის ამოწმებს გაუფასურებულია თუ არა ფინანსური იჯარით აღებული აქტივი.

#### მეიჯარე

##### ფინანსური იჯარის თავდაპირველი აღიარება

მეიჯარე ფინანსური იჯარის ხელშეკრულებით მის განკარგულებაში არსებული აქტივებს აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და წარადგენს, როგორც მოთხოვნას, წმინდა საიჯარო ინვესტიციის ტოლი თანხით. წმინდა საიჯარო ინვესტიცია არის მეიჯარის მთლიანი (ბრუტო) საიჯარო ინვესტიცია, რომელიც დისკონტირებულია საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით. მთლიანი (ბრუტო) საიჯარო ინვესტიცია არის შემდეგი ორი სიდიდის ერთობლიობა:

ა) ფინანსური იჯარისათვის მეიჯარის მიერ მისაღები მინიმალური საიჯარო გადასახდელები; და

ბ) მეიჯარის სასარგებლოდ დარიცხული მთელი არაგარანტირებული ნარჩენი ღირებულება.

ნებისმიერი ფინანსური იჯარის დროს, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც მეიჯარე მწარმოებელი ან დილერია, თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები (დამატებითი დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია საიჯარო გარიგების მოლაპარაკებასა და გაფორმებასთან) ჩაირთვება ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნის თავდაპირველ შეფასებაში და ამცირებს იჯარის ვადის განმავლობაში აღიარებული შემოსავლის თანხას.

##### ფინანსური იჯარის შემდგომი შეფასება

ფინანსური შემოსავლის აღიარება ეფუძნება ისეთ გრაფიკს, რომელიც ასახავს ფინანსურ იჯარაში მეიჯარის წმინდა საიჯარო ინვესტიციებიდან უკუგების მიღების მუდმივ პერიოდულ განაკვეთს. საანგარიშგებო პერიოდის საიჯარო გადასახდელები, მომსახურების დანახარჯების გამოქვითვით, დაირიცხება მთლიანი (ბრუტო) საიჯარო ინვესტიციის საპირისპიროდ, რათა აისახოს როგორც ძირითანხის, ისე გამოუმუშავებელი ფინანსური შემოსავლის შემცირება. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ მეიჯარის მთლიანი (ბრუტო) ინვესტიციის თანხის განსაზღვრისათვის გამოყენებული, შეფასებითი არაგარანტირებული ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, უნდა გადაისინჯოს იჯარის ვადის განმავლობაში შემოსავლის განაწილების წესი და ადრე დარიცხული თანხების ნებისმიერი შემცირება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში უნდა აღიარდეს.

##### ჩვეულებრივი (საოპერაციო) იჯარა

ჩვეულებრივი იჯარის დროს მეიჯარე:

მეიჯარე საიჯარო შემოსავალში აღიარებს (ისეთი მომსახურების დანახარჯების გარდა, როგორიცაა დაზღვევა და აქტივის მიმდინარე ტექნომსახურება) მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით.

5-24 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია  
კომპანიის დირექტორი კომპანიის მთავარი ბუღალტერი

მეიჯარე ხარჯის სახით აღიარდებს საიჯარო შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, მათ შორის, ცვეთას. იჯარით გაცემული აქტივებისთვის გამოყენებული ცვეთის პოლიტიკა იდენტური უნდა იყოს სხვა ანალოგიური აქტივებისთვის გამოყენებული ჩვეულებრივი ცვეთის პოლიტიკის.

იმის დასადგენად გაუფასურდა თუ არა იჯარით გაცემული აქტივი, მეიჯარემ უნდა იხელმძღვანელოს აქტივების გაუფასურების სტანდარტით დადგენილი მოთხოვნები.

ჩვეულებრივი იჯარის დროს მოიჯარე:

მოიჯარე საიჯარო გადასახდელებს (ისეთი მომსახურების დანახარჯების გარდა, როგორიცაა დაზღვევა და აქტივის მიმდინარე ტექმომსახურება), ხარჯად აღიარებს წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში.

- **სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში მიღებული სერვისის ან მოწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან გადასახდელი თანხები. იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში სავაჭრო ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით.

კრედიტორული და ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ სავაჭრო ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება ორგანიზაციის ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით, საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის გადასახდელი.

ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, შემოსავალი აღიარდება მოგება/ზარალში.

- **ამონაგები**

ამონაგები აღიარდება სრული შემოსავლის ან მოგება/ზარალის ანგარიშგებაში, მისაღები ან მიღებული ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც მცირდება სავაჭრო ფასდათმობით, ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობით.

სრული შემოსავლის ან მოგება/ზარალის ანგარიშგებაში ამონაგები წარმოდგენილია ცალკეული კატეგორიების მიხედვით.

საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგები

5-24 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია  
კომპანიის დირექტორი

კომპანიის მთავარი ბუღალტერი

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები აღიარდება, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;

გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;

დ) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და

ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

#### მომსახურების გაწევიდან მიღებული ამონაგები

მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული ამონაგები აღიარდება, როდესაც შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება და ამონაგები აღიარდება ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

მომსახურების გაწევის შედეგის საიმედო შეფასება ნიშნავს, რომ კმაყოფილდებოდა ყველა შემდეგი პირობა:

ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;

ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;

გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და

დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

#### სამშენებლო ხელშეკრულებების შედეგად მიღებული ამონაგები

როდესაც სამშენებლო ხელშეკრულების შედეგის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ, სამშენებლო ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ამონაგები და დანახარჯები აღიარდება როგორც ამონაგები და ხარჯი სახელშეკრულებო სამუშაოების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

სამშენებლო ხელშეკრულების შედეგის საიმედოდ შესაფასებლად საჭიროა, რომ შესაძლებელი იყოს სახელშეკრულებო სამუშაოების შესრულების სტადიის, მომავალი დანახარჯებისა და თანხების ამოღების შესაძლებლობის საიმედოდ შეფასება.

#### • ხარჯები

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ხარჯების სიდიდე შეფასებულია საიმედოდ და წარმოადგენს საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც გამოწვეულია საანგარიშგებო

5-24 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია  
კომპანიის დირექტორი

კომპანიის მთავარი ბუღალტერი

პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის შედეგად, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არ არის მესაკუთრებზე გაცემულ განაწილებასთან.

ხარჯები მოიცავს ზარალს და ისეთ ხარჯებს, რომლებიც წარმოიშობა საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში და თავიანთი შინაარსის მიხედვით მიეკუთვნებიან საოპერაციო და არასაოპერაციო ხარჯებს. ზარალი აღირიცხება ცალკე მუხლად.

#### საოპერაციო ხარჯები

საოპერაციო ხარჯები გაიწევა ძირითადი საქმიანობის განხორციელების პროცესში და მოიცავს: რეალიზებული საქონლის და პროდუქციის თვითღირებულებას, მიწოდების (კომერციულ ხარჯებს), საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს.

#### არასაოპერაციო ხარჯები

არასაოპერაციო ხარჯების წარმოიქმნება დანარჩენი (თანმდევ) საქმიანობის მიმდინარეობის პროცესში და მოიცავს: საკურსო სხვაობის ზარალს, სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ზენორმიუ დანაკარგებს, საპროცენტო ხარჯებს და ა.შ.

### • გადასახადები

#### მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ძალაში შესული ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ფაქტობრივად ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული ცვლილების მიხედვით საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადით დაიბეგრება ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში განაწილებული მოგება. ამგვარი მოგება დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ეკონომიკურ საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება სრული შემოსავლის ანგარიშგების საოპერაციო ხარჯებში.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

#### დამატებული ღირებულების გადასახადი

5-24 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

კომპანიის დირექტორი

კომპანიის მთავარი ბუღალტერი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

ა) როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებით ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;

ბ) დებიტორული და კრედიტორული დავალიანებისა, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

გაყიდვებთან დაკავშირებული წარმოებული ღირებულების დამატებითი გადასახადის აღიარება ხდება იმ მოვლენაზე, რომელიც უფრო ადრე მოხდა:

ა) კლიენტებისგან მოთხოვნის ამოღება;

ბ) კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდება.

- ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარე არის პირი ან საწარმო, რომელიც დაკავშირებულია იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ანგარიშვალდებული საწარმო). თითოეულ შესაძლო დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას, ფასდება თავად ურთიერთობის შინაარსი და არამართო მისი სამართლებრივი ფორმა.

თუ საწარმოს გააჩნია დაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებული ოპერაციები, მან უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობების ხასიათის, ასევე ამ ოპერაციების, დაუფარავი ნაშთებისა და ვალდებულებების შესახებ. სათავე საწარმოსა და მის შვილობილ საწარმოებს შორის ურთიერთობა ფინანსურ ანგარიშგებაში აუცილებლად უნდა გაამჟღავნდეს, იმის მიუხედავად, განხორციელდა თუ არა ამ დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციები.

საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ანაზღაურების მთლიანი ოდენობის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) სამეურნეო ოპერაციების თანხებს;

ბ) დაუფარავი ნაშთების თანხას;

გ) დაუფარავ ნაშთებთან დაკავშირებულ საექვო ვალების ანარიცხებს; და

დ) დაკავშირებული მხარეებისაგან მისაღებ უიმედო ან საექვო ვალებთან დაკავშირებით მოცემული პერიოდის განმავლობაში აღიარებულ ხარჯებს.

- საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები მოიცავს ყველა მოვლენას, რომელიც მოხდება მანამ, სანამ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდება, თუნდაც ეს მოვლენები მოხდეს მოგების ან ზარალის, ან სხვა შერჩეული ფინანსური ინფორმაციის საჯაროდ გამოცხადების შემდეგ.

არსებობს ორი ტიპის საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენა:

5-24 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

კომპანიის დირექტორი

კომპანიის მთავარი ბუღალტერი

ა) მაკორექტირებელი მოვლენა - მოვლენები, რომლებიც მტკიცებულებებს უზრუნველყოფს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არსებულ პირობებზე.

ბ) არამაკორექტირებელი მოვლენა - მოვლენები, რომლებიც მიგვანიშნებს იმ პირობებზე, რომლებიც წარმოიშვა საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ პერიოდში.

#### აღიარება და შეფასება

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ მომხდარი მაკორექტირებელი მოვლენების ასახვის მიზნით საწარმო აკორექტირებს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებს, მათ შორის შესაბამის განმარტებით შენიშვნებში წარმოდგენილ ინფორმაციას.

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ მომხდარი არამაკორექტირებელი მოვლენების ასახვის მიზნით საწარმო არ აკორექტირებს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებს.

#### • წინა პერიოდის შეცდომები

წინა პერიოდის შეცდომები აღნიშნავს საწარმოს ერთი ან მეტი წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში დაშვებულ უზუსტობას ან ინფორმაციის გამოტოვებას, რაც გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ვერ იქნა გამოყენებული, ან არასწორად იქნა გამოყენებული საიმედო ინფორმაცია, რომელიც:

(ა) ხელმისაწვდომი იყო იმ მომენტისათვის, როდესაც ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა; და

(ბ) მართლზომიერად მოსალოდნელი იყო, რომ მოძიებული და გათვალისწინებული იქნებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის დროს.

ამგვარ შეცდომებს განეკუთვნება მათემატიკური შეცდომები, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაში დაშვებული შეცდომები, ფაქტების უყურადღებოდ დატოვების ან არასწორი ინტერპრეტაციისა და თაღლითობის შემთხვევები.

საწარმომ რეტროსპექტულად ასწორებს წინა საანგარიშგებო პერიოდის არსებითი შეცდომას მისი გამოვლენის შემდეგ გამოსაცემად დამტკიცებულ პირველივე ფინანსურ ანგარიშგებაში, შემდეგნაირად:

ა) იმ წარდგენილი წინა საანგარიშგებო პერიოდების შესადარისი თანხების გადაანგარიშებით, რომელშიც დაშვებულ იქნა შეცდომა; ან

ბ) თუ შეცდომა დაშვებული იყო წარდგენილი საანგარიშგებო პერიოდებიდან ყველაზე ადრეულ პერიოდამდე, ყველაზე ადრეული საანგარიშგებო პერიოდის აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთების გადაანგარიშებით.

როდესაც შეუძლებელია შეცდომის გავლენის განსაზღვრა ერთი ან მეტი წინა წარდგენილი საანგარიშგებო პერიოდის შესადარისი ინფორმაციაზე, საწარმო ახდებს ყველაზე ადრეული საანგარიშგებო პერიოდის აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთების გადაანგარიშებას, რომლისთვისაც შესაძლებელია რეტროსპექტული გადაანგარიშების განხორციელება.

#### 4. შეფასებები და დაშვებები

კომპანიის, ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და ასევე პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება

5-24 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია  
კომპანიის დირექტორი

კომპანიის მთავარი ბუღალტერი



21 შპს „ბ-ი კ-ეი პროექტი-ის“ ფინანსური ანგარიშგება  
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

##### 5. ძირითადი საშუალება და არამატერიალური აქტივი

| ძირითად საშუალების №                               | მიწის<br>წყვეტი | ბოლო<br>აქტივი | მანქანა –<br>დანაგარები | მერფისა<br>ნი<br>რეგისტრ | ოფისის<br>აქტივობა<br>და<br>რეგისტრ | სატრანსპორტო<br>საშუალებები | შენიშვნები | სულ       |
|----------------------------------------------------|-----------------|----------------|-------------------------|--------------------------|-------------------------------------|-----------------------------|------------|-----------|
| 021                                                | -               | -              | -                       | -                        | -                                   | -                           | -          | -         |
| <b>ძირითად საშუალებები</b>                         | -               | -              | -                       | -                        | -                                   | -                           | -          | -         |
| საწყისი ძირითადი საშუალებები                       | -               | 0              | 62304                   | 119857                   | 10341                               | -                           | -          | 192500    |
| ძირითადი საშუალების შემოსვლა                       | -               | 0              | 0                       | 0                        | 0                                   | -                           | -          | 0         |
| ძირითადი საშუალების გასვლა                         | -               | 0              | 0                       | 0                        | (0)                                 | -                           | -          | 0         |
| საბოლოო ძირითადი საშუალებები                       | -               | 0              | 62304                   | 119857                   | 10341                               | -                           | -          | 192500    |
| <b>ძირითად საშუალებების ფ</b>                      | -               | -              | -                       | -                        | -                                   | -                           | -          | -         |
| საწყისი დაგროვილი ცვეთა                            | 0               | 0              | (12461)                 | (23971)                  | (2068)                              | -                           | -          | (38501)   |
| ცვეთის დარიცხვა                                    | 0               | 0              | (12461)                 | (23971)                  | (2068)                              | -                           | -          | (38501)   |
| საბოლოო დაგროვილი ცვეთა                            | 0               | 0              | (24922)                 | (47943)                  | (4136)                              | -                           | -          | (77001)   |
| <b>ძირითად საშუალების<br/>აბალანსო ღირებულება</b>  | -               | -              | -                       | -                        | -                                   | -                           | -          | -         |
| ძირითადი საშუალების ნარჩენი<br>აბალანსო ღირებულება | -               | -              | 37382                   | 71914                    | 6205                                | -                           | -          | 115 500   |
| 022                                                | -               | -              | -                       | -                        | -                                   | -                           | -          | -         |
| <b>ძირითად საშუალებები</b>                         | -               | -              | -                       | -                        | -                                   | -                           | -          | -         |
| საწყისი ძირითადი საშუალებები                       | 0               | 0              | 37382                   | 71914                    | 6205                                | 0                           | 0          | 115 500   |
| ძირითადი საშუალების შემოსვლა                       | 0               | 0              | 12375                   | 401513                   | 6633                                | 0                           | 0          | 420 520   |
| საბოლოო ძირითადი საშუალებები                       | 0               | 0              | 49757                   | 473427                   | 12838                               | 0                           | 0          | 536 020   |
| <b>ძირითად საშუალებების ფ</b>                      | -               | -              | -                       | -                        | -                                   | -                           | -          | -         |
| საწყისი დაგროვილი ცვეთა                            | 0               | 0              | (24922)                 | (47943)                  | (4136)                              | 0                           | 0          | (77 000)  |
| ცვეთის დარიცხვა                                    | 0               | 0              | (14936)                 | (104274)                 | (3395)                              | 0                           | 0          | (122 600) |
| საბოლოო დაგროვილი ცვეთა                            | 0               | 0              | (39858)                 | (152217)                 | (7531)                              | 0                           | 0          | (199 600) |
| <b>ძირითად საშუალების<br/>აბალანსო ღირებულება</b>  | -               | -              | -                       | -                        | -                                   | -                           | -          | -         |
| ძირითადი საშუალების ნარჩენი<br>აბალანსო ღირებულება | -               | -              | 9899                    | 321210                   | 5307                                | -                           | -          | 336 410   |
| 023                                                | -               | -              | -                       | -                        | -                                   | -                           | -          | -         |
| <b>ძირითად საშუალებები</b>                         | -               | -              | -                       | -                        | -                                   | -                           | -          | -         |
| საწყისი ძირითადი საშუალებები                       | 0               | 0              | 9899                    | 321210                   | 5307                                | 0                           | 0          | 336 410   |
| ძირითადი საშუალების შემოსვლა                       | 0               | 0              | 44826                   | 376333                   | 16139                               | 0                           | 0          | 437 290   |
| ძირითადი საშუალების გასვლა                         | 0               | 0              | 0                       | 0                        | 0                                   | 0                           | 0          | 0         |
| საბოლოო ძირითადი საშუალებები                       | 0               | 0              | 54725                   | 697543                   | 21446                               | 0                           | 0          | 773 710   |
| <b>ძირითად საშუალებების ფ</b>                      | -               | -              | -                       | -                        | -                                   | -                           | -          | -         |
| საწყისი დაგროვილი ცვეთა                            | 0               | 0              | (39858)                 | (152218)                 | (7532)                              | 0                           | 0          | (199600)  |

5-24 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია  
კომპანიის დირექტორი კომპანიის მთავარი ბუღალტერი

22 შპს „ბ-ი კ-ეი პროექტი-ის“ ფინანსური ანგარიშგება  
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

|                             |   |   |         |          |         |   |   |        |
|-----------------------------|---|---|---------|----------|---------|---|---|--------|
| ცვეთის დარიცხვა             | 0 | 0 | (4968)  | (123091) | (8607)  | 0 | 0 | (136 6 |
| დარიცხული ცვეთის შემცირება  | 0 | 0 | 0       | 0        | 0       | 0 | 0 | 0      |
| საბოლოო დაგროვილი ცვეთა     | 0 | 0 | (44826) | (275307) | (16140) | 0 | 0 | (336 2 |
| <b>ძირითადი საშუალების</b>  |   |   |         |          |         |   |   |        |
| <b>აბაღანსოლირებულია</b>    | - | - | -       | -        | -       | - | - | -      |
| ძირითადი საშუალების ნარჩენი | 0 | 0 | 9899    | 422 236  | 5306    | 0 | 0 | 437 4  |
| აბაღანსო ღირებულება         |   |   |         |          |         |   |   |        |

6. მზა პროდუქცია და მიმდინარე მარაგი

|                                   |             |             |             |
|-----------------------------------|-------------|-------------|-------------|
| <b>მზა პროდუქცია</b>              | <b>2023</b> | <b>2022</b> | <b>2021</b> |
| მზა პროდუქცია                     | 0           | 0           | 0           |
| მზა პროდუქცია ჯამი                | 0           | 0           | 0           |
| <b>მიმდინარე მარაგი</b>           | <b>2023</b> | <b>2022</b> | <b>2021</b> |
| დაუმთავრებელი წარმოება            | 0           | 0           | 0           |
| ნედლეული და მასალები              | 106 904     | 65 054      | 133 015     |
| საქონელი                          | 0           | 0           | 0           |
| სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი | 62508       | 68 467      | 0           |
| მიმდინარე მარაგი ჯამი             | 169 412     | 133 521     | 133 015     |

7. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

|                                            |             |             |             |
|--------------------------------------------|-------------|-------------|-------------|
| <b>ფულადი სახსრები და მათი</b>             | <b>2023</b> | <b>2022</b> | <b>2021</b> |
| ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში            | 28 729      | 13 246      | 1424        |
| ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში                | 17 714      | 14 618      | 21 940      |
| უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში             | 0           | 0           | 0           |
| ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები ჯამი | 46 443      | 27 864      | 23 364      |

8. სასესხო ვალდებულება და პროცენტი

|                                       |             |             |             |
|---------------------------------------|-------------|-------------|-------------|
| <b>გრძელვადიანი სასესხო</b>           | <b>2023</b> | <b>2022</b> | <b>2021</b> |
| გრძელვადიანი სესხები                  | 0           | 0           | 0           |
| გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება ჯამი | 0           | 0           | 0           |
| <b>მოკლევადიანი სასესხო</b>           | <b>2023</b> | <b>2022</b> | <b>2021</b> |

5-24 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია  
კომპანიის დირექტორი

კომპანიის მთავარი ბუღალტერი

23 შპს „ბ-ი კ-ეი პროექტი-ის“ ფინანსური ანგარიშგება  
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

|                                       |             |             |             |
|---------------------------------------|-------------|-------------|-------------|
| მოკლევადიანი სესხები                  | 0           | 0           | 132 065     |
| მოკლევადიანი სასესხო ვალდებულება ჯამი | 0           | 0           | 132 065     |
| <b>გადასახდელი პროცენტი</b>           | <b>2023</b> | <b>2022</b> | <b>2021</b> |
| გადასახდელი პროცენტები                | 0           | 0           | 0           |
| გადასახდელი პროცენტი ჯამი             | 0           | 0           | 0           |

#### 9. ამონაგები და თვითღირებულება

|                                                            |             |     |           |
|------------------------------------------------------------|-------------|-----|-----------|
| ძირითადი მასალების დანახარჯები                             | (0)         | 0   | 0         |
| რეალიზებული საქონლის თვითღირებულება                        | (1 301 420) | (0) | (108,595) |
| უკან დაბრუნება და ფასდათმობა                               | 0           | 0   | 154       |
| რეალიზაციასთან და მომსახურებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯი | (0)         | (0) | (147,075) |
| თვითღირებულება ჯამი                                        | (1 301 420) | (0) | (255,516) |

#### 10. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

##### ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

|                                      | 2023      | 2022        | 2021      |
|--------------------------------------|-----------|-------------|-----------|
| ავტომანქანის რემონტის ხარჯი          | (0)       | (0)         | (0)       |
| დაზღვევის ხარჯი                      | (0)       | (0)         | (0)       |
| თანამშრომელთა ხელფასი                | (806 800) | (588 936)   | (247 955) |
| იჯარის ხარჯი                         | (81 355)  | (81 355)    | (51 016)  |
| კომუნალური ხარჯი                     | (87 777)  | (67 779)    | (42 096)  |
| კომუნიკაციის ხარჯი                   | (2396)    | (2395)      | (2381)    |
| მიმდინარე რემონტის ხარჯი             | (33 183)  | (38 000)    | (55 000)  |
| მომსახურების ხარჯი                   | (227 819) | (111 752)   | (41 783)  |
| საბანკო მომსახურება                  | (52 835)  | (32 995)    | (11 279)  |
| საკანცელარიო ხარჯები                 | (6587)    | (4821)      | (632)     |
| სამეურნეო ხარჯი                      | (20 910)  | (20 627)    | (560)     |
| სოციალური დანარიცხები                | (32 000)  | (13 878)    | (5337)    |
| სხვა საერთო ხარჯი                    | (438 717) | (1 876 967) | (279 925) |
| ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი ჯამი | (983 579) | (2 250 569) | (737 964) |

5-24 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია  
კომპანიის დირექტორი

კომპანიის მთავარი ბუღალტერი

## 11. რისკების მიმოხილვა

ფინანსური ინსტრუმენტების სარგებლობის გამო კომპანია ექვემდებარება სხვადასხვა რისკებს. ძირითადი რისკის ტიპებია: საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

### • საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლითი კურსების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ფასების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის შემოსავლებზე და მისი ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. კომპანიის საბაზრო რისკი ძირითადად დაკავშირებულია სავალუტო რისკთან, რაც გამომდინარეობს კომპანიის საოპერაციო, საფინანსო და საინვესტიციო საქმიანობიდან.

#### სავალუტო რისკი

კომპანიას აქვს ზოგიერთი ოპერაცია უცხოურ ვალუტაში, შესაბამისად აქვს საკურსო სხვაობების რისკი. საკურსო სხვაობები კომპანიას წარმოექმნება უცხოელ მომწოდებლებთან ვაჭრობის, სესხებისა და კრედიტების გამო. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც კომპანიას საკურსო რისკს უქმნიან მოცემულია ცხრილის სახით:

### • საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანიის საკრედიტო რისკი განპირობებულია თითოეული კონტრაქტორის ინდივიდუალური მახასიათებლებით.

ყველა კლიენტის კრედიტუნარიანობა ფასდება ინდივიდუალურად კომპანიის სტანდარტული გადახდის და მიწოდების ვადებისა და პირობების შეთავაზებამდე.

### • ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი ასახავს კომპანიის სირთულეს ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესასრულებლად, რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივების მიწოდება. ლიკვიდურობის მართვისათვის კომპანია უზრუნველყოფს, რომ შესაძლებლობის ფარგლებში ყოველთვის ქონდეს სათანადო ლიკვიდურობა ვალდებულების ვადაში დასაფარად.

5-24 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია  
კომპანიის დირექტორი



კომპანიის მთავარი ბუღალტერი

